

**სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № 1**

ქ. თბილისი

28 იანვარი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ტყემალაძე – გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე.

ავთანდილ ჭიჭინაძე – სტანდარტების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

ნატალია სიდამონიძე – ხარისხის მართვის მენეჯერი, კომისიის წევრი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

მარიამ ცუცქერიძე – საფინანსო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების კოორდინატორი.

სხდომას არ ესწრება:

კესარია ჩადუნელი - ლაბორატორიული მომსახურების ცენტრის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მანანა დარსაველიძე - სამეურნეო განყოფილების კონსულტანტი.

ირაკლი ფოფხაძე – სამეურნეო განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დღის წესრიგი: სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სააგენტოს სატიტულო ბლანკების, მარკირების და ტიპის ნიშნების შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცება.

კომისიამ განიხილა:

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი დაფარული ვაჭრობის მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე - სავარაუდო ღირებულებით 3936.00 ლარი დღგ - ს გარეშე.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი ელექტრონულად შევსებული სააგენტოს სატიტულო ბლანკების, მარკირების და ტიპის ნიშნების შეძენის სატენდერო დოკუმენტაციის პირობების პროექტი და გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი დაფარული ვაჭრობის მონაცემებით, დამატებითი რაუნდების და დღგ-ს გარეშე - სავარაუდო ღირებულებით 3936.00 ლარი.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო პირობების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირება.

სატენდერო კომისიის წევრები :

დავით ტყემალაძე

ავთანდილ ჭიჭინაძე

ნატალია სიდამონიძე

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

მარიამ ცუცქერიძე